სოფიკო ლობჟანიძე

სასწავლო პროექტებზე მუშაობის სქემები

mastsavlebeli.ge-ს განყოფილება "პორტფოლიოში" განთავსებულია სტატია "როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი", სადაც დაწვრილებით არის საუბარი იმ თავისებურებებზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ამ მეთოდით მუშაობისას.

სასწავლო პროექტების შედეგიანობა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეები პროექტის თემის შერჩევაში, დაგეგმვაში, პრობლემის მართვაში, ასევე - მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების პროცესებში და რამდენად ეფექტიანად იყენებენ პროექტის მონაწილეები პროექტის გაფორმების, მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების სქემებს.

ამჯერად გთავაზობთ რამდენიმე კითხვარს და სქემას, რომლებიც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა; მასწავლებელს შეუძლია მათი საჭიროებისამებრ ადაპტირება.

შენიშვნა: ჩვენ მიერ შემოთავაზებული კითხვარებისა და სქემების გამოყენება უფრო უპრიანია საშუალო და გრძელვადიან პროექტებზე მუშაობისას.

თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად მუშაობს ქვემოთ მოცემულ კითხვარზე, აფასებს შეთავაზებულ საპროექტო ინიციატივას, ამდიდრებს მას საკუთარი იდეებით, განსაზღვრავს საკუთარ როლს პროექტის წარმატებულ განხორციელებაში.

შევიტანოთ ჩვენი წვლილი პროექტის იდეის განვითარებასა და პროექტის მონახაზის შექმნაში

ვის შემოაქვს პროექტის იდეა?

რა საკითხს/სფეროს შეეხება ეს ინიციატივა?

აქტუალურად მიმაჩნია თუ არა შემოთავაზებული იდეა და რატომ?

რა მიზანს ისახავს ეს ინიციატივა?

რა კითხვებს დავუსვამდი იდეის ავტორებს?

რამდენად რეალისტურად მესახება ის ამოცანები, რომლებიც ინიციატორებიმა დაგვისახეს? ხელს შეუწყობს თუ არა ეს ნაბიჯები მიზნის მიღწევას?

პროექტის ინიციატივას მე შემდეგი იდეებით გავამდიდრებდი...

რატომ და როგორ წაადგება ჩემი იდეები პროექტის წარმატებულ განხორციელებას?

მას შემდეგ, რაც თითოეული მოსწავლე შეავსებს კითხვარს, იმართება მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი დისკუსია, რომელიც სრულდება პროექტის გეგმის შექმნით. ამგვარად შემუშავებულ პროექტის გეგმაში ჩართულია ყველა მოსწავლე, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მათი აზრი, რაც ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას და უმაღლებს მათ სწავლის მოტივაციას.

გთავაზობთ პროექტის გეგმის ნიმუშს:

პროექტის გეგმა

1. პროექტის დასახელება ----------
---

1. პროექტში მონაწილეობენ ----------
2. პროექტის აქტუალობა/რით არის ეს პროექტი მნიშვნელოვანი ჩვენთვის? ----------
---
---
3. პროექტის მიზანი: ----------
---
4. პროექტზე მუშაობის ვადები: დასაწყისი ---------- დასასრული ----------

5. განსახორციელებელი ამოცანები:

ამოცანის დასახელება და მოკლე აღწერა	ვადა	მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელი შედეგის ამსახველი მასალა	ამოცანის განსახორციელებლად საჭირო	პასუხისმგებელი პირი

				რესურსები	

6. პროექტის ბოლოს მისაღწევი შედეგები: ----------
---

7. ხელის შემშლელი ფაქტორები/შესაძლო რისკები: ----------
---

8. პროექტის შუალედური და საბოლოო შეფასება:

პროექტის მონიტორინგი/შეფასება	**ვის მიერ**	**როდის**	**რა კრიტერიუმებით**
პირველი შუალედური მონიტორინგი			
მეორე შუალედური მონიტორინგი			
და ა.შ.			
საბოლოო შეფასება			

შენიშვნა: პროექტის შეფასებისა და თვითშეფასების კრიტერიუმები თან უნდა ერთვოდეს პროექტის გეგმას.

პროექტის მიმდინარეობისას სასურველია, მოხდეს მისი შუალედური შეფასება/მონიტორინგი. ქვემოთ მოცემულია ანგარიშის სქემა, რომელსაც პროექტის მონაწილენი ყოველი ამოცანის განხორციელების შემდეგ ავსებენ - ეს მათ როგორც შიდა, ისე გარე შუალედურ მონიტორინგში ეხმარება. შუალედური მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება კი პროექტის დახვეწას უწყობს ხელს.

ამოცანის შესრულების ანგარიში

თარიღი:

ჯგუფი:

ამოცანის შესრულების ვადა: ----------

შინაარსობრივი სამუშაო

მოვაგვარეთ:

მოცემულ ვადაში ჩვენ წარმატებით გავართვით თავი შემდეგ სამუშაოს:

წავაწყდით დაბრკოლებებს:

მოცემულ დროში სირთულეებმა იჩინა თავი შემდეგი სამუშაოს შესრულებისას:

ალბათ გვჭირდება... ----------

ამისთვის გადავწყვიტეთ: ----------

ჯგუფში თანამშრომლობა:

პროექტზე მუშაობის დროს ჯგუფში თავი იჩინა შემდეგმა პრობლემებმა: ----------

---

პრობლემების მოგვარება ამგვარად ვცადეთ: ----------

პრობლემა ამით:

- ○ მოგვარდა;
- ○ არ მოგვარდა.

საჭიროებები:

ჩვენ გვჭირდება: ----------

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მუშაობის მეტაანალიზის კითხვარი, რომლის გამოყენება ეფექტიანია ჯგუფურ პროექტებზე მუშაობისას. მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ კითხვარს, მასწავლებელი აანალიზებს მათ და ანალიზის შედეგებს ითვალისწინებს ჯგუფების დაკომპლექტებისას, ჯგუფში ფუნქციების გადანაწილებისას. ანალიზის შედეგები მასწავლებელს იმასაც უჩვენებს, რომელ მოსწავლესთან რა მიმართულებით მუშაობაა საჭირო.

ჯგუფის მუშაობის მეტაანალიზი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ყოველი დებულება შეაფასეთ 4, 3, 2, 1 ქულით. 4 ქულა ნიშნავს "სავსებით ვეთანხმები", 3 ქულა - "ვეთანხმები", 2 ქულა - "ნაწილობრივ ვეთანხმები", 1 ქულა - "თითქმის არ ვეთანხმები".

როდესაც ყველა დებულებას შეაფასებთ, ქულები შეაჯამეთ.

1		მე ინიციატივას სიამოვნებით ავიტაცებ		მე სიამოვნებით ვავითარებ ახალ იდეებს		მე სხვებთან ერთად სიამოვნებით ვმუშაობ		ჩემთვის მნიშვნელოვანია საკითხების სიღმისეული მესწავლა
2		ჩემთვის მნიშვნელოვანია, სწრაფად მივაღწიო მიზანს		ჩემთვის მნიშვნელოვანია ახალი გზების მიება და ამ გზებზე სიარული		ჩემთვის მნიშვნელოვანია, სუფევდეს კარგი ატმოსფერო		ჩემთვის მნიშვნელოვანია საფუძვლიანი მუშაობა
3		პასუხისმგებლობის აღება არ მიჭირს		არ მიჭირს წინადადებების განვითარება		არ მიჭირს დათმობაზე წასვლა		არ მიჭირს ფაქტების ობიექტურად მეფასება
4		ხანდახან ჯგუფის სხვა წევრებზე ვმოქმედებ მეტად დომინანტურად		სავარაუდოდ, ხანდახან სხვებს ვაშფოთებ		სავარაუდოდ, ხანდახან სხვებს ვაფერხებ		სავარაუდოდ, სხვების თვალში ხანდახან სკრუპულოზური ვჩანვარ
5		გაჭიანურებული საქმე არ მიყვარს		რუტინა არ მიყვარს		დისკუსია არ მიყვარს		სისწრაფე არ მიყვარს
6		ვზრუნავ ჯგუფის წინსვლაზე		ყურადღებას ვაქცევ ჯგუფში მრავალფეროვნებას		ჩემთვის მნიშვნელოვანია განწყობა ჯგუფში		პასუხისმგებლობას არ გავურბივარ
		ქმედებაზე ორიენტაცია		**განვითარებაზე ორიენტაცია**		**ჯგუფზე ორიენტაცია**		**ანალიტიკოსი**

ქმედებაზე ორიენტირებული მოსწავლე სიამოვნებით აიტაცებს ინიციატივას და ამიტომ ხანდახან დომინანტურად მოქმედებს. იგი ყურადღებას აქცევს ჯგუფის წინსვლას და იღებს პასუხისმგებლობას. ასეთი მოსწავლე მიზანსა და შედეგსა ორიენტირებული. მას არ უყვარს სიზარმაცე და საქმის გაჭიანურება.

განვითარებაზე ორიენტირებული მოსწავლე სიამოვნებით განავითარებს ახალ იდეებს და მზად არის, ახალი გზებით იაროს. მას არ უჭირს იდეებისა და წინადადებების განვითარება, ამიტომ ხანდახან სხვებში იწვევს მოუსვენრობასა და შფოთვას. რუტინა და ერთფეროვანი, მოსაწყენი საქმე ასეთ მოსწავლეებს არ უყვართ. ისინი კრეატიულები არიან და ყურადღებას აქცევენ ჯგუფში მრავალფეროვნებას.

თანამშრომლობაზე/ჯგუფზე ორიენტირებული მოსწავლე სიამოვნებით მუშაობს სხვებთან ერთად და მზად არის კომპრომისისთვის. მისთვის მნიშვნელოვანია ჯგუფში კარგი თანამშრომლობითი ატმოსფერო, ამიტომ ხშირად თავს არიდებს მწვავე დებატებსა თუ დისკუსიებს.

ანალიტიკოსი მუშაობს საფუძვლიანად და ორგანიზებულად და სხვებისგანაც ამავეს მოელის, მას არ უყვარს სისწრაფე და გაურკვევლობა. ის საქმეს სკრუპულოზურად ეკიდება და ცდილობს, მოვლენები, საგნები ობიექტურად შეაფასოს.

ჯგუფურ პროექტზე მუშაობისას მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება

პროექტი:

პროექტზე მუშაობის ხანგრძლივობა:

ჯგუფი:

პროექტზე მუშაობისას თქვენ ერთ ჯგუფში იყავით, ამიტომ შეგიძლიათ შეაფასოთ, რა წვლილი შეიტანა პროექტის განხორციელებაში ჯგუფის თითოეულმა წევრმა.

ქვემოთ მოცემული ცხრილი შემდეგი თანმიმდევრობით უნდა შეავსოთ:

1. თავდაპირველად მარჯვენა ბოლო უჯრებში აფასებთ ჯგუფური პროექტის განხორციელებაში საკუთარ წვლილს. მაქსიმალური ქულაა 5. ბოლოს ამ სვეტს მოკეცავთ ისე, რომ სხვამ ვერ დაინახოს.
2. ასე მოკეცილ ცხრილს აწვდით გვერდით მჯდომ ჯგუფის წევრს, რომელიც აფასებს თქვენს წვლილს ჯგუფის მუშაობაში. მას ქულები შეაქვს მარჯვენა ბოლო სვეტში, ისიც გადაკეცავს ამ სვეტს და გადააწვდის ჯგუფის მომდევნო წევრს.
3. ასე მოივლის ცხრილი ჯგუფის ყოველ წევრს.
4. მას შემდეგ, რაც ჯგუფის ყველა წევრი შეგაფასებთ, გააანალიზეთ, რამდენად ემთხვევა თქვენი თვითშეფასება მეგობრების შეფასებას.

	ჯგუფის მეგობარი	ჯგუფის მეგობარი	ჯგუფის მეგობარი	ჯგუფის მეგობარი	ჯგუფის მეგობარი	თვითშეფასება

	5	4	3	2	1	
რა შრომა გასწია მან ჯგუფის მუშაობაში? (მაქს. 5 ქულა)						
რამდენი კარგი იდეა შესძინა ჯგუფს? (მაქს. 5 ქულა)						
რამდენად პოზიტიურად და ჯგუფისთვის სასარგებლოდ შეეძლო მას ჯგუფის სხვა წევრების იდეებისა და წინადადებების მოსმენა, მიღება და გათვალისწინება? (მაქს. 5 ქულა)						
რამდენად პასუხისმგებლობით და საიმედოდ ასრულებდა იგი პირადად მისთვის დაკისრებულ საქმეს? (მაქს. 5 ქულა)						
რა წვლილი შეიტანა მან ჯგუფის საერთო პროდუქტის შექმნაში? (მაქს. 5 ქულა)						

მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტის შეფასების კითხვარი

პროექტის დასახელება:

პროექტზე მუშაობის ვადები:

ჯგუფი:

საყვარელო მოსწავლეებო

იმისთვის, რომ მომავალში პროექტზე მუშაობა გავაუმჯობესოთ, მინდა გავარკვიო, როგორ შეაფასებდით მას.

1. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა, გასწავლა თუ არა რაიმე ამ პროექტზე მუშაობამ?

ა) ბევრი რამ მასწავლა;
ბ) მასწავლა;
გ) ახალი თითქმის არაფერი მისწავლია;
დ) ახალი არაფერი მისწავლია.

2. შეიცვალა თუ არა ამ პროექტზე მუშაობისას ჯგუფის წევრთა ურთიერთობა?
ა) ბევრად უკეთესი გახდა;
ბ) უკეთესი გახდა;
ბ) ისეთივე დარჩა, როგორიც იყო;
დ) გაუარესდა;

3. ნათელი იყო თუ არა შენთვის საკუთარი როლი პროექტის წარმატებით განხორციელებასა და შედეგის მიღწევაში?
ა) სავსებით ნათელი იყო;
ბ) ძირითადად ნათელი იყო;
გ) არც ისე ნათელი იყო;
დ) სრულიად გაურკვეველი იყო.

4. "მასწავლებელმა მიჩვენა, როგორ უნდა მემუშავა პროექტზე".
ა) სავსებით ვეთანხმები;
ბ) ვეთანხმები;
გ) ნაწილობრივ ვეთანხმები;
დ) არ ვეთანხმები.

5. "როდესაც მხარში დგომა მჭირდებოდა, მასწავლებელი ყოველთვის ჩემ გვერდით იყო".
ა) სავსებით ვეთანხმები;
ბ) ვეთანხმები;
გ) ნაწილობრივ ვეთანხმები;
დ) არ ვეთანხმები.

6. "შედეგებით კმაყოფილი "ვარ".

ა) სავსებით ვეთანხმები;

ბ) ვეთანხმები;

გ) ნაწილობრივ ვეთანხმები;

დ) არ ვეთანხმები.

7. ყველაზე მეტად რას შეაქებდი ან გააკრიტიკებდი პროექტში?

ქება:----------

კრიტიკა: ----------

დიდი მადლობა დახმარებისთვის.

კითხვარის ანალიზის შედეგები მასწავლებელმა მომდევნო პროექტზე მუშაობისას უნდა გაითვალისწინოს.

პროექტზე მუშაობის პროცესში მოსწავლეთა შეფასება მასწავლებლის მიერ

ქულები	**მოქნილობა**	მიღწეული ქულა
5	მოსწავლეს ძალიან კარგად შეუძლია მოპოვებული ინფორმაციის, წინადადებებისა და რჩევების ადაპტირება და დამოუკიდებლად მათი ადეკვატური გამოყენება.	
4	მოსწავლეს შეუძლია მოპოვებული ინფორმაციის, წინადადებებისა და რჩევების ადაპტირება და მათი ადეკვატური გამოყენება.	
3	მოსწავლეს სხვათა უმნიშვნელო დახმარებით შეუძლია მოპოვებული ინფორმაციის, წინადადებებისა და რჩევების ადაპტირება და მათი შეზღუდული გამოყენება.	
2	მოსწავლეს უჭირს მოპოვებული ინფორმაციის, წინადადებების, რჩევების ადაპტირება და გამოყენება.	
1	მოსწავლეს ძალიან უჭირს მოპოვებული ინფორმაციის, წინადადებების, რჩევების ადაპტირება და გამოყენება.	
0	მოსწავლეს არ შეუძლია მოპოვებული ინფორმაციის, წინადადებების, რჩევების ადაპტირება და გამოყენება.	
	თანამშრომლობის უნარი	

5	მოსწავლე მზად არის, მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ჯგუფის მუშაობაში და მიაწოდოს მას რაც შეიძლება მეტი გამოსადეგი იდეა. მას ყოველთვის შეუძლია ჯგუფის სხვა წევრების წინადადებათა მოსმენა, გათვალისწინება და განვითარება.	
4	მოსწავლე მზად არის, შეიტანოს წვლილი ჯგუფის მუშაობაში და მოამარაგოს ჯგუფი გამოსადეგი იდეებით. მას უმეტესად შეუძლია ჯგუფის სხვა წევრების წინადადებათა მოსმენა, გათვალისწინება და განვითარება.	
3	მოსწავლე ნაწილობრივ მზადაა, შეიტანოს წვლილი ჯგუფის მუშაობაში და მოამარაგოს ჯგუფი საკუთარი იდეებით. იგი ხშირად უსმენს ჯგუფის სხვა წევრთა წინადადებებს, ითვალისწინებს და ცდილობს მათ განვითარებას.	
2	მოსწავლეს იშვიათად შეაქვს წვლილი ჯგუფის მუშაობაში და ძნელად ამარაგებს ჯგუფს იდეებით. იგი იშვიათად უსმენს ჯგუფის სხვა წევრების წინადადებებს, ნაკლებად ითვალისწინებს და თითქმის არ ცდილობს მათ განვითარებას.	
1	მოსწავლეს თითქმის არ შეაქვს წვლილი ჯგუფის მუშაობაში და არ ამარაგებს ჯგუფს იდეებით. იგი არ უსმენს, არ ითვალისწინებს და არ ცდილობს ჯგუფის სხვა წევრების წინადადებების განვითარებას.	
0	მოსწავლეს არ აქვს არავითარი მზაობა ჯგუფური მუშაობისთვის.	
	საიმედოობა	
5	მოსწავლე უმიზეზოდ არ აცდენს ჯგუფის არც ერთ შეხვედრას, ჯგუფის გადაწყვეტილებით მისთვის დაკისრებულ ყველა დავალებას დროულად და კეთილსინდისიერად ასრულებს, მისი სამუშაო რესურსები ყოველთვის მოწესრიგებულია.	
4	მოსწავლე უმიზეზოდ თითქმის არ აცდენს ჯგუფის შეხვედრებს, თითქმის ყველა დავალებას დროულად და კეთილსინდისიერად ასრულებს, მისი სამუშაო რესურსები უმეტესწილად მოწესრიგებულია.	
3	მოსწავლე უმეტესწილად არ აცდენს ჯგუფის შეხვედრებს, დავალებას ხშირად დროულად და კეთილსინდისიერად ასრულებს, მისი სამუშაო რესურსები ხშირად მოწესრიგებულია.	
2	მოსწავლე ხშირად აცდენს ჯგუფის შეხვედრებს, დროულად და კეთილსინდისიერად არ ასრულებს დავალებას, მისი სამუშაო რესურსები ხშირად მოუწესრიგებულია.	
1	მოსწავლე ძალიან ხშირად აცდენს ჯგუფის შეხვედრებს, დავალებებს თითქმის არ ასრულებს, თუ ასრულებს, დაგვიანებით და არაკეთილსინდისიერად, მისი სამუშაო რესურსები მუდამ მოუწესრიგებელია.	

0	პროექტზე მუშაობისას მოსწავლეზე დაყრდნობა არ შეიძლება.	
	კომუნიკაციის უნარი	
5	მოსწავლე ძალიან კარგად ახერხებს ფაქტების, კონტექსტის, თავისი ემოციური მდგომარეობის ადეკვატურად გადმოცემას. იგი ყოველთვის მისდევს საუბრის/დიალოგის/დისკუსიის წესებს და შეუძლია ძალიან კარგი იმპულსების გაცემა ერთობლივი სამუშაოს წარმართვისთვის.	
4	მოსწავლე კარგად ახერხებს ფაქტების, კონტექსტის, თავისი ემოციური მდგომარეობის ადეკვატურად გადმოცემას. იგი თითქმის ყოველთვის მისდევს საუბრის/დიალოგის/დისკუსიის წესებს და შეუძლია კარგი იმპულსების მიცემა ერთობლივი სამუშაოს წარმართვისთვის.	
3	მოსწავლე უმეტესად ახერხებს ფაქტების, კონტექსტის, თავისი ემოციური მდგომარეობის ადეკვატურად გადმოცემას. იგი ხშირად მისდევს საუბრის/დიალოგის/დისკუსიის წესებს და ხანდახან შეუძლია, კარგი იმპულსები გასცეს ერთობლივი მუშაობისას.	
2	მოსწავლე იშვიათად ახერხებს ფაქტების, კონტექსტის, თავისი ემოციური მდგომარეობის ადეკვატურად გადმოცემას. იგი იშვიათად მისდევს საუბრის/დიალოგის/დისკუსიის წესებს და თითქმის არ გასცემს პოზიტიურ იმპულსებს ერთობლივი მუშაობის პროცესში.	
1	მოსწავლეს თითქმის არ შესწევს უნარი, ფაქტები, კონტექსტი, თავისი ემოციური მდგომარეობა ადეკვატურად გადმოსცეს. იგი იშვიათად მისდევს საუბრის/დიალოგის/დისკუსიის წესებს და ვერ ახერხებს პოზიტიური იმპულსების გაცემას.	
0	მოსწავლეს არ შესწევს უნარი, ფაქტები, კონტექსტი, საკუთარი ემოციური მდგომარეობა ადეკვატურად გადმოსცეს. იგი არასოდეს მისდევს საუბრის/დიალოგის/დისკუსიის წესებს და არ გასცემს პოზიტიურ იმპულსებს პროექტზე მუშაობის პროცესში.	
	კონფლიქტების მოგვარების უნარი	
5	მოსწავლე სისტემატურად ამჟღავნებს კომპრომისის უნარს და შეუძლია, პირადი ინტერესები, თუ საჭიროება მოითხოვს, უკანა პლანზე გადასწიოს. მას შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება, დროული რეაგირება და კონსტრუქციული კრიტიკის მიწოდება. მას ყოველთვის შესწევს შეცდომების აღიარებისა და დასკვნების გამოტანის უნარი.	
4	მოსწავლე ამჟღავნებს კომპრომისის უნარს და უმეტესწილად შეუძლია, პირადი ინტერესები, თუ საჭიროება მოითხოვს, უკანა პლანზე გადასწიოს. ის ხშირად ახერხებს პრობლემების	

	იდენტიფიცირებას, დროულ რეაგირებას და კონსტრუქციული კრიტიკის მიწოდებას. მას შესწევს უნარი, აღიაროს შეცდომები და დასკვნები გამოიტანოს.	
3	მოსწავლეს უჭირს კომპრომისზე წასვლა და, საჭიროებისამებრ, პირადი ინტერესების უკანა პლანზე გადაწევა. მას შეუძლია ზოგიერთი პრობლემის იდენტიფიცირება, დროული რეაგირება და კონსტრუქციული კრიტიკის მიწოდება. მას უჭირს შეცდომების აღიარება და დასკვნების გამოტანა.	
2	მოსწავლეს უჭირს კომპრომისზე წასვლა და, საჭიროებისამებრ, პირადი ინტერესების უკანა პლანზე გადაწევა. მას არ შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება, დროული რეაგირება და კონსტრუქციული კრიტიკის მიწოდება. მას უჭირს შეცდომების აღიარება და დასკვნების გამოტანა.	
1	მოსწავლეს თითქმის არ შეუძლია კომპრომისზე წასვლა და საჭიროებისამებრ პირადი ინტერესების უკანა პლანზე გადაწევა. მას არ შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება, დროული რეაგირება და კონსტრუქციული კრიტიკის მიწოდება. მას ძალიან უჭირს შეცდომების აღიარება და დასკვნების გამოტანა.	
0	მოსწავლეს არ შეუძლია კომპრომისზე წასვლა და, საჭიროებისამებრ, პირადი ინტერესების უკანა პლანზე გადაწევა. მას არ შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება, დროული რეაგირება და კონსტრუქციული კრიტიკის მიწოდება. მას არ შეუძლია შეცდომების აღიარება და დასკვნების გამოტანა.	